

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი განათლების

მეცნიერებათა დეპარტამენტი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „ მასწავლებელი“ - 60
კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის

პროფესორი ტელ: 593 33 12 18,

ელ-ფოსტა:

ketevan.chkuaseli@tsu.ge

პროგრამის სახელწოდება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „მასწავლებელი“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კვალიფიკაციას არ ანიჭებს

პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60

სწავლების ენა - ქართული

პროგრამის მიზანი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წარჩინებული მასწავლებლის /და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის / კომპეტენციის მქონე პედაგოგების მომზადება, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის / საგნის სპეციალისტის აღჭურვა პედაგოგიურ- ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტმა მიიღოს ცოდნა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ და შეძლოს საგნობრივ ცოდნასთან მისი ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით;

იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროგრამა უნდა გაიარონ ბაკალავრიატში სწავლის პროცესში, პროგრამაზე მიღების წინაპირობა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანების - „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრის 2023 წლის 29 დეკემბრის №MES 1 23 0001781789 წერილის - მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურაში ინტეგრირების შესახებ საფუძველზე, კერძოდ,

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, უფლება აქვს გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თუკი მას დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.

სწავლის შედეგი

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა იცოდეს:

პედაგოგიკურ / ფსიქოლოგიური დისციპლინები - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი:

- პედაგოგიკის ძირითადი ცნებები - აღზრდა, განათლება, სწავლება,
- პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მეთოდები,
- პიროვნების ფორმირების ფაქტორები,
- აღზრდის მიზანი და ამოცანები, განათლების სისტემის რაობა და მისი სამართლებრივი საფუძვლები,
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები,
- დიდაქტიკური და ზოგადპედაგოგიკური პრინციპები,
- სწავლების მეთოდები,
- განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები,
- შეფასების სახეები და მეთოდები,
- სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებების დაცვის საკითხები,
- მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურები,
- განვითარების ფსიქოლოგიური თეორიები,
- კლასის მართვის თეორიული საფუძვლები,
- ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები,
- სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგია,
- პროფესიულ-ეთიკური ნორმები,
- მშობლებთან თანამშრომლობის ფორმები,
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების შესახებ.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- კონკრეტულ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში პედაგოგიკის ძირითადი ცნებების მიზნობრივად გამოყენება,
- აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, კონკრეტული ამოცანების დასახვა და გადაჭრის გზების მოძებნა,
- სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა,
- სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა,
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება,
- კლასის ეფექტური მართვა,
- გაკვეთილის ეტაპების მართვა,
- სწავლება / სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება,
- შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან,
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა,
- ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა,

- პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა,
- სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა,
- სასწავლო რესურსების გამოყენების უნარი,
- საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი.
- კოლეგებთან ერთად სპეციალური კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება და პრაქტიკაში გამოყენება,
- საკუთარ სამუშაო სფეროში ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი,
- სასწავლო პროცესში პრობლემის განსაზღვრის, ანალიზისა და გადაწყვეტის გზების დასახვის უნარი,
- სხვათა აზრებისა და არგუმენტების მოსმენა და კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა,
- აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია,
- ქართულ და უცხო ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსია,
- პროფესიული საქმიანობისა და პრობლემების შესახებ წერილობითი დოკუმენტაციის წარმოება,
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება,
- კულტურათაშორისი დიალოგი.
- პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს:
- მოცემულ დისციპლინაში ახალი მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი,
- საკუთარი პროფესიული საქმიანობების განსაზღვრის, განვითარების გზებისა და საშუალებების მოძიებისა და განხორციელების უნარი,
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საქმიანობების გაცნობიერებისა და რეცეფციის უნარი

პროგრამის გავლა მსმენელს გაუფართოებს მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს აღნიშნულ სფეროში და დაეხმარება მას შეიძინოს სწავლება/სწავლის პროცესისათვის ისეთი არსებითი

ზნეობრივი ღირებულებები, როგორებიცაა:

- მოსწავლის პიროვნების პატივისცემა,
- მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემა,
- მოსწავლეებისადმი ობიექტური და თანასწორი დამოკიდებულება,
- მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა
- განვითარების ხელშეწყობა,
- პროფესიული ეთიკური ღირებულებები,
- თანამშრომლობითი უნარები,
- სასწავლო პროფესიული გარემოს განვითარების მოტივაცია,
- მშობელთა საზოგადოებასთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგები მიიღწევა:

კონკრეტული სასწავლო დისციპლინების შესწავლის პროცესში სწავლების - ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, მოვლენებსა და საგნებზე უშუალო- დაკვირვებითი მეთოდების გამოყენებით; სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით - ჯგუფური მუშაობა, პროექტით სწავლება, პრობლემური სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.

შეფასების სხვადასხვაგვარი მეთოდისა და სახეების გამოყენებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სახელმწიფო რეგულაციის საფუძველზე თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას, კერძოდ, დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება უნდა განხორციელდეს 100-ქულიანი სისტემით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

სასწავლო გეგმა/იხ. დანართი 1 /

პროგრამის ხელმძღვანელი : ქეთევან ჭკუასელი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის

პროფესორი, ტელ: 593 33 12 18, ელ-ფოსტა ketevan.chkuaseli@tsu.ge

დასაქმების სფეროები: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის (7-12 კლასები) შესაბამისი საგნის მასწავლებელი

დამატებითი ინფორმაცია

მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს პედაგოგიური და საგნობრივ – მეთოდოლოგიური ციკლის დისციპლინების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა. პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნის შინაარსი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან.

იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც პროგრამას გადიან ბაკალავრიატში სწავლის პროცესში, პროგრამა გაწერილია ხუთ სემესტრად.

ვინაიდან პროგრამა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის არის გათვალისწინებული, შესაძლებელია, ფაკულტეტის აზრის გათვალისწინებით, კურსების დაჩქარებული /კონცენტრირებული წესით გავლა, რაც გულისხმობს პროგრამის ორ სემესტრად წარმოდგენას, საგანთა განაწილებას პირველი და მეორე სემესტრების მიხედვით.

პროგრამის დასრულების შემდეგ, სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული 60 კრედიტის მოგროვების საფუძველზე, გაიცემა მასწავლებლობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

1 სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
 ინსტიტუტი/ დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი სასწავლო
 პროგრამის სახელწოდება: მასწავლებელი
 სწავლების საფეხური: --
 სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: ქეთევან ჭკუასელი
 აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამთვინების თარიღი, დადგენილების ნომერი: V
 სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი(სასწავლო წელი):

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები - (55 ECTS)												
პედაგოგიური დისციპლინები - (35 ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECT	მსმენელის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		მსმენელის დამოუკიდებელი მუშაობის საათები			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დასწრების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკა	ლექცია-პრაქტიკების სთავის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
1	პედაგოგია	10	60	60	85	15(5+5+5)	25	5	წინაპირობის გარეშე	√	√	ქეთევან ჭკუასელი მარინე გოგნელაშვილი თინათინ დოლიძე მაია მემარნიშვილი ნათია ბებიაშვილი
2	ფსიქოლოგია-ზოგადი ფსიქოლოგია	5	30	15	56	8(4+4)	15	2	წინაპირობის გარეშე	√	√	თეონა ლოღია ელენე ოყროშიძე მარიკა ფანჯიკიძე
3	სწავლის, სწავლებისა და ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური საფუძვლები	2	15	15	8	4(2+2)	6	2	წინაპირობის გარეშე	√		თეონა ლოღია ელენე ოყროშიძე მარიკა ფანჯიკიძე

4	ფსიქოლოგია-ინკლუზიური განათლება	3	15	30	8	10(3+3+4)	7	5	ფსიქოლოგია- ზოგადი ფსიქოლოგია	√		თეონა ლოდია მაია შავშვიაშვილი
5	განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები	3	15	30	10	4	11	5	წინაპირობის გარეშე		√	ზაქარია ქიტიაშვილი მარინე გოგნელაშვილი მაია მემარნიშვილი, ცირა ნიკოლაშვილი
6	პედაგოგიური კვლევის საფუძვლები	5	15	30	45	10(4+6)	20	5	პედაგოგია		√	რუსუდან სანაძე მარინე გოგნელაშვილი დავით წამალაშვილი მარიამ ფანჯიციძე
7	სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და პრაქტიკა	2	15	15	6	4	8	2	პედაგოგია		√	მარინე გოგნელაშვილი ცირა ნიკოლაშვილი ზაქარია ქიტიაშვილი
8	განათლების ისტორია და თანამედროვეობა	5	15	30	50	10(5+5)	15	5	წინაპირობის გარეშე	√	√	ქეთევან ჭკუასელი თამაზ კარანაძე ნათია ბებიაშვილი ცირა ნიკოლაშვილი მაია მემარნიშვილი
პედაგოგიური პრაქტიკა (10 ECTS)												
საგნობრივი დისციპლინები (10 ECTS)												
1	ქართულის სწავლების მეთოდები 1	5	15	30	49	11(5+6)	15	5	წინაპირობის გარეშე	√		ზაქარია ქიტიაშვილი ქეთევან აფთარაშვილი ნათია ფურცელაძე რუსუდან ჩიქოვანი
2	ქართულის სწავლების მეთოდები 2	5	15	30	49	11(5+6)	15	5	ქართულის სწავლების მეთოდები 1		√	ზაქარია ქიტიაშვილი ქეთევან აფთარაშვილი ნათია ფურცელაძე
3	რუსულის სწავლების მეთოდთა 1	5	30	30	45	8(4+4)	9	5	წინაპირობის გარეშე	√		მარინა ალექსიძე ნატალია ბასილაია
4	რუსულის სწავლების მეთოდთა 2	5	30	30	45	8(4+4)	9	5	რუსულის სწავლების მეთოდთა 1		√	მარინა ალექსიძე ნატალია ბასილაია

5	ინგლისურის სწავლების მეთოდика 1	5	15	30	62	4	10	2	წინაპირობის გარეშე	√		იზაბელა პეტრიაშვილი ლელა აბდუშელიშვილი ინა ბარათაშვილი
6	ინგლისურის სწავლების მეთოდика 2	5	15	30	62	4	10	2	ინგლისურის სწავლების მეთოდика 1		√	იზაბელა პეტრიაშვილი ლელა აბდუშელიშვილი ინა ბარათაშვილი
7	გერმანული ენის სწავლების მეთოდები და პრაქტიკა	5	15	30	45	8(4+4)	9	3	წინაპირობის გარეშე	√		თ ივანე მინდაძე ამარ ჭუმბურიძე ანა წეროძე
8	ენისკომუნიკაციური უნარების განვითარება	5	15	30	45	8(4+4)	9	3	გერმანული ენის სწავლების მეთოდები და პრაქტიკა		√	თ ივანე მინდაძე ამარ ჭუმბურიძე ანა წეროძე
9	ფრანგულის სწავლების მეთოდика 1	5	30	15	57	8(4+4)	10	5	წინაპირობის გარეშე	√		თამ გვანცა ჭანტურია არ ღარიბაშვილი
10	ფრანგულის სწავლების მეთოდика 2	5	30	15	57	8(4+4)	10	5	ფრანგულის სწავლების მეთოდика 1		√	თამ გვანცა ჭანტურია არ ღარიბაშვილი
11	მათემატიკის სწავლების ზოგადი მეთოდика	5	15	30	50	5	20	5	წინაპირობის გარეშე	√		და ეკა ჩიხლაძე ლი დავით წამალაშვილი გრიგოლ სოსხაძე მედეა ჩაჩიბაია
12	ელემენტარული მათემატიკის დამატებითი თავების სწავლების საკითხები	5	15	30	50	5	20	5	მათემატიკის სწავლების ზოგადი მეთოდика		√	და ეკა ჩიხლაძე დავით წამალაშვილი გრიგოლ სოსხაძე მედეა ჩაჩიბაია
13	სასკოლო ფიზიკის სწავლების მეთოდика	5	15	30	38	20 (10+10)	20	2	წინაპირობის გარეშე	√		იური პაპავა ელზა ერაძე
14	ფიზიკის ამოცანების ამოხსნის მეთოდика	5	15	30	38	20 (10+10)	20	2	სასკოლო ფიზიკის სწავლების მეთოდика		√	იური პაპავა ელზა ერაძე
15	ქიმიის სწავლების მეთოდика 1	5	15	30	35	25(15+10)	15	5	წინაპირობის გარეშე	√		ელენე კაცაძე ნინო ნიკოლაიშვილი ლია ბარამიძე
16	ქიმიის სწავლების მეთოდика 2	5	15	30	35	25(15+10)	15	5	ქიმიის სწავლების მეთოდика 1		√	ელენე კაცაძე ნინო ნიკოლაიშვილი ლია ბარამიძე

17	ბიოლოგიის სწავლების მეთოდика 1	5	15	30	36	20(10+10) 4	20	4	წინაპირობის გარეშე	√		ეფემია ხარაძე ელენე ჩერქეზი ნანა ბარნაველი
18	ბიოლოგიის სწავლების მეთოდика 2	5	15	30	36	20(10+10) 0	20	4	ბიოლოგიის სწავლების მეთოდика 1		√	ეფემია ხარაძე ელენე ჩერქეზი ნანა ბარნაველი
19	გეოგრაფიის სწავლების მეთოდика 1	5	15	30	32	25 (15+10)	20	3	წინაპირობის გარეშე	√		ლია კვერენჩილაძე ნანა პაიჭაძე

20	გეოგრაფიის სწავლების მეთოდთა 2	5	15	30	32	25 (15+10)	20	3	გეოგრაფიის სწავლების მეთოდთა 1		√	ლია კვერენჩილაძე ნანა პაიჭაძე
21	სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდთა 1	5	15	30	30	20(10+10)	25	5	წინაპირობის გარეშე	√		გიორგი პაპუაშვილი ცირა ნიკოლაშვილი ეთერ ბოკლევაძე მიხეილ ქართველიშვილი
22	სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდთა 2	5	15	30	30	20(10+10)	25	5	სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდთა 1		√	გიორგი პაპუაშვილი ცირა ნიკოლაშვილი ეთერ ბოკლევაძე მიხეილ ქართველიშვილი
23	ისტორიის სწავლების მეთოდთა 1	5	15	30	44	16(10+6)	15	5	წინაპირობის გარეშე	√		გიორგი პაპუაშვილი მიხეილ ქართველიშვილი
24	ისტორიული წყაროები და მათზე მუშაობის მეთოდები	5	15	30	44	16(10+6)	15	5	ისტორიის სწავლების მეთოდთა 1		√	გიორგი პაპუაშვილი მიხეილ ბახტაძე მიხეილ ქართველიშვილი ეთერ ბოკლევაძე

არჩევითი კურსები – (5 ECTS)

1	ინტერკულტურული განათლება	2	15	15	4	4(2+2)	10	2	პედაგოგია		√	ნათია ნაცვლიშვილი იზაბელა პეტრიაშვილი ნინო ჩახუნაშვილი
2	განათლება და ბავშვთა უფლებები	3	30	15	12	7(3+4)	8	3	პედაგოგია	√	√	ზაქარია ქიტიაშვილი მარინე გოგნელაშვილი ცირა ნიკოლაშვილი იზაბელა პეტრიაშვილი
3	სამოქალაქო განათლება	3	30	15	10	8(4+4)	9	3	პედაგოგია		√	გიორგი პაპუაშვილი ცირა ნიკოლაშვილი ეთერ ბოკლევაძე მიხეილ ქართველიშვილი

4	თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	2	15	15	10	2 ⁶	6	2	პედაგოგია		√	ქეთევან ჭკუასელი მარინე გოგნელაშვილი ცირა ნიკოლაშვილი თამარ გეგშიძე
5	კულტურულ-საგანმანათლებლო ინოვაციები თანამედროვე სასწავლო პროცესში	3	15	15	30	8	4	3	წინაპირობის გარეშე	√	√	ირინე საგანელიძე

6	სასკოლო გარემო და მოზარდის ჯანმრთელობა	2	15	15	20				პედაგოგია		√	ეფემია ხარაძე
7	ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები ახალ სასწავლო გარემოში	3	15	15					წინაპირობის გარეშე	√	√	იზაბელა პეტრიაშვილი
8	მოსწავლის ქცევის მართვის საკითხები	3	30	15	30				ზოგადი ფსიქოლოგია; განვითრების ფსიქოლოგია; პედაგოგია		√	მაია შაშვიაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____ ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის

მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____ ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

_____ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

ხელმოწერა _____ თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი